ხელშეკრულება N58
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქალაქი ბათუმი 17 ივნისი 2022 წელი

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი **დირექტორის ირმა ნიჟარაძის** სახით და მეორე მხრივ, შპს „პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE", დირექტორის სალომე კიკვაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ჰიგიენური საქონლის შესყიდვა ხელშეკრულების პირობებისა და დანართი 1 ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 632 (ექვსასოცდათორმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს;

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სასახლის სამეურნეო ნაწილის უფროსის მოადგილე მამუკა აბულაძე.

3.2. საქონელი ან მომსახურეობა ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში, მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი .

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2022 წლის 30 ივნისისა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის,

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

შემსყიდველი:

ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის
სპორტის სასახლე
მის: ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ, N14
საიდენტიფიკაციო კოდი: 445404884
სახელ.ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი N 707797519

მიმწოდებელი:

შპს „პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE”
მისამართი: ბათუმი
ს/კ 445427119
სს ,, პროკრედიტ ბანკი’’
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა GE13PC0193600100011836

დირექტორი: /ი. ნიჟარაძე/

დირექტ

Salome Kikvadze 61001050902

Digitally signed by Salome Kikvadze
Date: 2022.06.17 17:14:08

						დანართი №1
N	დასახელება	კლასიფიკაციის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი	ერთეულის ფასი
1	პაპია სამზ.ქაღ. 3-ფენა 12X2	33764000	ცალი	3,00	16,60	49,8
2	"ნუას" სამზარეულოს ხელსახოცი, 12ცალი X 4 (500982)	33764000	ცალი	3,00	18,00	54
3	CC-306 უნივერსალური ტილო 35X40 (8697420530327)	39525800	ცალი	10,00	3,10	31
4	3892-BRAIT ჰაერის არომატიზატორი ლიმონის ფრეში ეთერზეთებით 300მლ.	24959100	ცალი	5,00	6,50	32,5
5	(YUMY) ჭურჭლის ჟელე. 200 გრ *32	39832100	ყუთი	1,00	1,50	1,5
6	2125-კასპერის ჟელე 240 გრ (32)	39832100	შეკვრა	4,00	1,35	5,4
7	GALAX თხევადი საპონი ანტიბაქტერიული "კლასიკური" 500გრ დოზატორით	33711900	ცალი	2,00	6,85	13,7
8	1556-GALAX თხევადი საპონი ნუში და დამატენიანებელი რძე 500 გრ დოზატორი	33711900	ცალი	2,00	6,85	13,7
9	1518-GALAX თხევადი საპონი ლაიმის ექსტრაქტით 500გრ დოზატორით	33711900	ცალი	2,00	6,85	13,7
10	1239-BEA მყარი საპონი ანტიბაქტერიული 125გრ ლიმონი	33711900	ცალი	5,00	2,00	10
11	1246-BEA მყარი საპონი ანტიბაქტერიული 125გრ ალოე	33711900	ცალი	5,00	2,00	10
12	მყარი საპ. ტიამო კრემა ავოკადო 140გრ	33711900	ცალი	10,00	2,10	21
13	სავარძელზე გადასაფარებელი რულონი (სამედიცინო რულონი 50სმ)	33764000	ცალი	6,00	16,00	96
14	Domestos დომესტოსი 3.5gr	39832000	ცალი	6,00	12,00	72
15	"ნუას" ტუალეტის ქაღალდი 32*3 (500967)	33761000	ცალი	4,00	24,00	96
16	ფამილია ტუალ.ქაღ.3-ფ.30X3	33761000	ცალი	4,00	21,00	84
17	1709-GALAX ანტიბაქტერიული თხევადი საპონი დრაკონის ხილის ექსტრაქტით და მაკადამიის ზეთით 500 გრ დოზატო	33711900	ცალი	2,00	6,85	13,7
18	"ბი ფრეში"მყარი საპ. ქოქოსი 125გრ	33711900	ცალი	3,00	1,40	4,2
19	"ბი ფრეში"მყარი საპ. ლიმონი 125გრ	33711900	ცალი	5,00	1,40	7
20	"ბი ფრეში"მყარი საპ. ვაშლი 125გრ	33711900	ცალი	2,00	1,40	2,8
			ჯამი			632,00
	დირექტორი: /ი.ნიჟარაძე/				დირექტორი:	/ს. კიკვაძე/

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბიმისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შპს „პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE -სთან შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ზემოაღნიშულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე პირები:

1. დირექტორი ირმა ნიჟარაძე.
2. სამსახურის უფროსის მოადგილე მამუკა აბულაძე.